ევროკავშირი საქართველოსთვის

"საორსას" ბენეფიციართა დამოკიდებულების კვლევა ორგანიზაციის მიმართ

ანგარიში მომზადებულია „საორსას“ კვლევის სპეციალისტის ლანა სიხარულიძის მიერ

2024 წელი

პროექტს **"სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა"** ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (**KAS**) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (**CSRDG**), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (**CSI**), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (**CTC**), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP)

კვლევის ანგარიში მომზადდა კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის (CTC) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "**სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა**: *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის" ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „საორსა" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.*

*პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (**KAS**) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (**CSRDG**), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (**CSI**), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (**CTC**), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (**EDEC**) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (**IEP**).*

KONRAD ADENAUER STIFTUNG CSRDG CTC EDEC Institut für Europäische Politik

პროექტს **"სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა"** ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (**KAS**) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (**CSRDG**), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (**CSI**), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (**CTC**), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP)

სარჩევი

შესავალი.....3
კვლევის მიმოხილვა.....3
მეთოდოლოგია 3
„საორსასთან“ პირველი კავშირი.....4
პროექტში ჩართულობის მიზნები და მოლოდინები.....4
კარიერული გზა და გადაწყვეტილებები.....5
ახალი შესაძლებლობები, საორსასთან კავშირის შემდეგ 6
ბენეფიციართა ბარიერები და რეკომენდაციები 7
სერვისის მიმღებთა გაზიარებული ისტორია.....9
რეკომენდაციები.....9

შესავალი

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროები: ხარისხიანი განათლება, კარიერული განვითარება, დასაქმება, ადამიანების უფლებები, მეწარმეობა, სამოქალაქო აქტივიზმი, გენდერული თანასწორობა, ღირსეული შრომა და ეკონომიკური გაძლიერება.

„საორსამ“ განახორციელა ორგანიზაციის საქმიანობის შეფასების კვლევა ფოკუსჯგუფებში, რომელშიც მონაწილეობდნენ „საორსას“ სერვისებით მოსარგებლე, პროექტებში მონაწილე ბენეფიციარები: ახალგაზრდები, დასაქმებული და სამუშაოს მაძიებელი ქალები.

კვლევის მიზანი იყო ორგანიზაციის შეფასება ბენეფიაციარებში საორსას საქმიანობით მიღებული განწყობებისა და ცვლილებების კვალდაკვალ.

„საორსას“ სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებსა და არაფორმალური განათლების პროგრამებს ჰყავს 783 ბენეფიციარი/მონაწილე.

ორგანიზაციამ განახორციელა სერვისები და პროექტები, რომელთა მოსარგებლეც გახლდათ სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, სამუშაოს მაძიებლები, დასაქმებულები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა გოგონები და ქალები. „საორსას“ ფასიანი სერვისები მოიცავდა კარიერული განვითარების, დასაქმების უნარების, „ბულინგის“ პრევენციისა და ინტერვენციის, შრომითი და ქალთა უფლებების, სამოქალაქო ლიდერობის, აქტიური მოქალაქეობის, ადამიანის უფლებების, მეწარმეობის მიმართულებებს.

კვლევის მიმოხილვა

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი გახლდათ ორგანიზაციის შეფასება ბენეფიაციარებში „საორსას“ საქმიანობით მიღებული განწყობებისა და ცვლილებების კვალდაკვალ.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია თვისებრივი სოციალური კვლევის მეთოდი - ფოკუს-ჯგუფი.

კვლევის ფარგლებში სულ ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 6-8 რესპონდენტისგან. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდა:

ახალგაზრდა ბენეფიციარები

დასაქმებული ქალები

სოფლადმცხოვრები ქალები

სერვისით მოსარგებლე ბენეფიციარები

ფოკუს-ჯგუფებისთვის შემუშავდა სადისკუსიო გეგმა (ე,წ. „გაიდლაინი“), რომელიც მოიცავდა იმ თემებს, რომლებზეც უნდა წარმართულიყო დისკუსიები. ფოკუს-ჯგუფი გრძელდებოდა ერთი საათი. რესპონდენტთა რეკრუტირება მოხდა მათთან უშუალო კონტაქტის საფუძველზე. ჩაიწერა ინტერვიუების აუდიო ვერსია, რის შემდეგაც მომზადდა „ტრანსკრიპტები“. შემდგომ საფეხურზე გაანალიზდა, გამოიყო ძირითადი თემები, შესაძლებელი გახდა ინფორმაციის კატეგორიზაცია და მომზადდა ანგარიში.

„საორსასთან“ პირველი კავშირი

ბენეფიციართა უმეტესი წილი აღნიშნავს, რომ „საორსას“ შესახებ ახლობელი ადამიანებისგან მიიღეს ინფორმაციას. მათი რჩევით, ისინი ავსებდნენ საპროექტო განაცხადს და მათთვის ყველაზე საინტერესო იყო გოგონათა და ქალთა გაძლიერებისკენ მიმართული პროექტები, ახალგაზრდებისთვის პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება. ასევე, ბევრი მათგანი დაინტერესებული იყო მეწარმეობით და ჰქონდათ თავიანთი იდეები, თუმცა არ იცოდნენ განხორციელების გზები.

,,ყველაზე მეტად საინტერესო იყო, რომ ქალებისთვის იყო ეს პროექტი. სოფლად მცხოვრები ქალები ხომ მოკლებულია ყოველგვარ ინფორმაციას. თქვენ წარმოიდგინეთ, სოფლებში ახლაც არის ინფორმაციის ნაკლებობა და 2020 წელს რა მდგომარეობა იქნებოდა მაღალმთიან აჭარაში“. - რესპონდენტი ხულოდან.

,,მე პირველად გავიგე საინფორმაციო შეხვედრიდან პროექტის შესახებ, თუმცა იყო ასაკობრივი შეზღუდვა და ვერ გადავედი. ვინც მიიღეს პროექტში, რამდენიმემ ველარ შეძლო ჩართულობა და კიდევ ერთ შეხვედრაზე შემთხვევით შევიარე ბიბლიოთეკაში, სადაც „საორსას“ ტრენინგი მიმდინარეობდა. ვთქვი, რომ არ ვაკმაყოფილებდი ასაკობრივ კრიტერიუმს და იმ დღეს მომცეს შესაძლებლობა ჩავრთულიყავი პროექტში. მას შემდეგ უკვე მეორედ მივიღე მონაწილეობა. ნაყოფიერი იყო ჩემთვის. ბევრი სასიკეთო გადაწყვეტილება გავაკეთე „საორსასთან“ ურთიერთობის შემდეგ''. რესპონდენტი ხულოდან.

,,ჩემი ახლობელი იყო ჩემთან სტუმრად და ესწრებოდა „საორსას“ ტრენინგებს და ძალიან მოვიხიბლე ტრენერით. გამიჩნდა სურვილი და ვთხოვე თუ კიდევ იქნებოდა პროექტი შეეტყობინებინათ ჩემთვისმოვხვდი საოცარი ენერგიებით მატარებელ ადამიანებში. რადიკალურად განსხვავებულ გარემოში, რასაც არ ველოდებოდი და მოლოდინს გადააჭარბა“. რესპონდენტი ქედიდან.

,,ნაცნობმა მითხრა, რომ მეწარმეობის მიმართულებით მიმდინარეობდა პროექტი და დავინტერესდი. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ მონაწილეები ხუთივე მუნიციპალიტეტიდან ვიყავით წარმოდგენილნი. ბევრი მეგობარი შევიძინე, „საორსა“ არის ჩემი მეორე ოჯახი. სოფლადმცხოვრებ ქალებს ნაკლები ინფორმაცია აქვთ და პროექტებში მონაწილეობამ ბევრი ადამიანის ცხოვრება შეცვალა.“ რესპონდენტი შუახევიდან.

,,მე ნაცნობიდან გავიგე, რომ „საორსას“ დაგეგმილი ჰქონდაშეხვედრა შუახევში, მე დამიკავშირდნენ და მთხოვეს ქალების შეკრება. შევკრიბე ქალები და მეც დავესწარისაინფორმაციო შეხვედრას. მოვიხიბლე და დამაინტერესა, თუ რა ხდებოდა ორგანიზაციაში". რესპონდენტი შუახევიდან.

პროექტში ჩართულობის მიზნები და მოლოდინები

ძირითადად, პროექტში ჩართულობის მიზნები და მოლოდინები სოფლადმცხოვრები ქალებისთვის წარმოდგენდა მეწარმეობასთან დაკავშირებული ცოდნის მიღებას. დასაქმებული ქალების მიზანი იყო თავიანთი შესაძლებლობების მეტად გაძლიერება და ახალი უნარების, გამოცდილებების შეძენა, არჩეული პროფესიული მიმართულებით გადაწყვეტილების მიღების უნარის შეძენა, ახალგაზრდების მიერ პროფესიების სწორად არჩევა. ასევე, რესპონდენტები ასახელებდნენ საკუთარი თავის პოვნის, თვითშეფასების ამაღლებასა და არსებული სტერეოტიპების მსხვრევის სურვილს.

,,ინფორმაციის მიღების სურვილით მივედი „საორსაში“. არანაირი ინფორმაცია არ მქონდა მეწარმეობასთან დაკავშირებით. ბაღი მქონდა ახალგაშენებული. „საორსას“ ტრენინგები დამეხმარა მესწავლა, როგორ გამეფართოებინა ბიზნესი და მომეპოვებინა დამატებითი ფინანსები. თითქოს ეს ინფორმაცია არსებობდა ჩემთვის „საორსაში“ და მე მივიღე, მივისაკუთრე. მე ვიღებ ინფორმაციას „საორსადან“ და სხვასაც ვაძლიერებ.“ სოფლადმცხოვრები ქალი ხულოდან.

,,ჩემი მიზანი იყო საკუთარი თავის პოვნა, სტერეოტიპების მსხვრევა''. სოფლადმცხოვრები ქალი ქედიდან

,,ჩემი მიზანი იყო პროფესია სწორად ამერჩია, პროექტის ფარგლებში გავიარე ტრენინგები. შეირჩა ის პროფესიები, რომელიც გვინდოდა და მოგვეცა შესაძლებლობა გაგვევლო პრაქტიკები, ერთ-ერთი იდეალური პროექტი იყო, სადაც მონაწილეობას ვღებულობდი“ ახალგაზრდა შუახევიდან

,,მე თავად ბევრ ადამიანს ვურჩიე „საორსას“ პროექტებში მონაწილეობის მიღება და ბევრი ჩემი რჩევით არის მოსული. მათ მოახდინეს თვითრეალიზება, რადგან სხვისგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება და „საორსა“ ამ შესაძლებლობას იძლევამეც ამისთვის ვარ, რომ „საორსას“ შესახებ კიდევ ბევრმა გაიგოს.'' დასაქმებული ქალი ხულოდან

,,ჩემთვის პროექტის სახელი მიმზიდველი იყო - პოლიტიკური კარიერა და ლიდერობა. იმ დროს ჩაბარებული მქონდა დირექტორობის გამოცდა. ამიტომ ჩავთვალე, რომ პროექტის ფარგლებში ჩემთვის საჭირო უნარებს შევიძენდი. განაცხადში ითხოვდნენ ესსეს წარმოდგენას, ცოტა კი მეზარებოდა, მაგრამ დავძლიე და დავწერე. რაც გავიარეთ „საორსას“ პროექტის ფარგლებში, ყველაფერი ახალი იყო ჩემთვის. საინტერესო ხალხი გავიცანი. პიროვნული ზრდის მიმართულებით, ბევრი ტრენინგი მაქვს გავლილი, თუმცა ამ ტრენინგის ფარგლებში აღმოვაჩინე, რომ ბევრი რამ არ ვიცოდი. საჯარო გამოსვლის ტექნიკის შესწავლაც სიახლე იყო ჩემთვის. მიუხედევად იმისა, რომ მე თავად ვატარებ ტრენინგებს. საინტერესო იყო ადვოკატირების საკითხები, კომუნიკაციების გზები და ა.შ.“ დასაქმებული ქალი ქობულეთიდან.

,,ჩემი მიზანი იყო ქალები მეტად გავძლიერებულიყავით, ჩავრთულიყავით სამოქალაქო და პოლიტიკურ აქტივიზმში. თავიდან არ ვფიქრობდი, რომ ამ შედეგზე გავიდოდი.მოლოდინზე მეტი მივიღე. . გადაწყვეტილების მიღება ვისწავლე, რაც მანამდე ჩემთვის გამოწვევა იყო. წინ წავედი და მივხვდი, რომ ქალს მეტად შეუძლია იყოს გადაწყვეტილების მიმღები.“ დასაქმებული ქალი ბათუმიდან

კარიერული გზა და გადაწყვეტილებები

ბენეფიციარები მნიშვნელოვნად თვლიან კარიერულ წინსვლასა და გადაწყვეტილებების მიღებაში „საორსას“ როლს. ზოგმა მათგანმა შეიცვალა კარიერული საფეხური და აიმაღლა სამსახურეობრივი სტატუსი, ზოგმა პროექტში მიღებული ცოდნით აიმაღლა თავდაჯერებულობა და კარიერულ გზაზე, თავის გადაწყვეტილებებში უფრო მტკიცე და შეუპოვარი გახდა. სხვების აზრს და დამოკიდებულებებს, რომელიც მისთვის არასამართლიანი ან უბრალოდ არასწორი იყო, ახლა მედგრად ხვდება და რჩება თავის პოზიციაზე. ზოგი მათგანისთვის საჯარო გამოსვლები გამოწვევა იყო და „საორსას“ პროექტმა

გადაალახინა ეს გამოწვევა. ზოგიერთს საკუთარი თავის რწმენა მიეცა ახალი იდეისა და საქმის წამოწყებისთვის. ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პროექტში გასვლითი ღონისძიებები და მეწარმეების გაცნობა მაღალმთიან აჭარაში. მას შემდეგ ერთმა ახალგაზრდამ დაიწყო თავისი ღვინის წარმოებაც.

,,“საორსაში“ ყველა აქტივობა და ურთიერთობა არის კომფორტული, არ გრძნობ დაძაბულობას, არ ხარ სტრესში. ყველანაირად ცდილობენ, რომ მოერგონ ჩვენს შესაძლებლობას, დროს. ძალიან კარგი გუნდი იყო პროექტში, ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილი და გულშემატკივარი.“ რესპონდენტი ქობულეთიდან

,,გავიზარდე კარიერულად, განსხვავებული შეხედულებებიც მივიღე. დავრწმუნდი, რომ შენი საქმე შეიძლება არ მიგაჩნდეს არაფრად, მაგრამ ღირებული იყოს, მთავარია აღიარო. სწორედ ამ იდეით დავიწყე ხელნაკეთი ნივთების კეთებაც.“ რესპონდენტი ბათუმიდან

,,“საორსას“ შემდეგ სამსახური შეიცვალა, დამაწინაურეს. იმ აქტივობებმა, რაშიც ჩართული ვიყავი და სოციალურ ქსელებში ვტვირთავდით, გავლენა იქონია ჩემს წარმატებაზე.“ რესპონდენტი შუახევიდან

,,არის მომენტები, როცა მიგაჩნია, რომ განსხვავებულად აღგიქვამენ. მქონდა კომპლექსები თურას ფიქრობდნენ სხვები. ახლა კი მსგავს ფიქრებს არ აქვს ჩემს ემოციურ მდგომარეობზე გავლენა. უფრო მეტად შემტევი გავხდი, მედგრად დავუხვდები ყველაფერს, დავრჩები ჩემს პოზიციაზე და არ დავხრი თავს.“ რესპონდენტი ქობულეთიდან

,,ნუ, მე ვიტყოდი, რომ ჩემს ირგვლის მყოფები, უფრო ინფორმაციის წყაროდ აღმიქვამენ, რადგან იციან, რომ პროექტებში ვიღებ მონაწილეობას. სხვებსაც ვაწვდიდი ინფორმაციას. ფაქტობრივად, ბევრს ძალითაც კი ვეხმარები, თითქოს არ უნდათ დახმარება, მაგრამ მე ვხედავ, რომ სჭირდებათ. ყურადღებით ვარ სამსახურშიც და შრომით კოდექსში, როგორც არის გაწერილი, მინდა რომ თანამშრომლებთან მიდგომა ისეთივე იყოს. „საორსას“ მენეჯერი ძალიან სასიამოვნო და დაუზარელი ადამიანია, რომელიც მეხმარება ქობულეთში სხვადასხვა საკითხის მოგვარებაში“ რესპონდენტი ქობულეთიდან

,,დიპლომატიური კომუნიკაციები ვისწავლე, როგორც ადრე, ისე აღარ ვარ ემოციურად ფეთქებადი, თუ რაიმე არ მომწონს.“ რესპონდენტი ქედიდან

,,თვითშეფასება მქონდა დაბალი და „პროექტის შემდეგ, შევიძინე ახალი უნარები. პროექტის ფარგლებში, საჯაროდ უნდა გამოვსულიყავით. სწორედ ამ მომენტმა გარდატეხა მოახდინა ჩემში. თავდაჯერებულობა მომემატა. მნიშვნელოვანია ამგვარი „მომენტის დაჭერა“ და მე ეს შევძელი“რესპონდენტი ქედიდან

,,პროფორიენტაცია დამეხმარა, რომ ამერჩია პროფესია - ჟურნალისტიკა ან პედაგოგიკა. ტესტებმა აჩვენა, რომ ჟურნალისტიკა უფრო ჩემი იყო და მეც მივყევი ბოლომდე. ჩავაბარე, ვსწავლობ თბილისში და მალე დავიწყებ ამ პროფესიით მუშაობას.“ ახალგაზრდა თბილისიდან.

,,ჩვენ გვქონდა ერთი შეხვედრა მაღალმთიან აჭარაში მეწარმე ქალებთან. ვნახეთ მეწარმე ქალი, რომელსაც ფუტკრები ჰყავს და აწარმოებს თაფლს. ადგილზე გავეცანით სხვა ქალების ინსტორიას, მოვინახულეთ ღვინის საწარმო და ეს დამეხმარა, რომ მე თავადაც გამეშენებინა ვენახი და მეწარმოებინა ღვინო“ ახალგაზრდა ბათუმიდან.

ახალი შესაძლებლობები, საორსასთან კავშირის შემდეგ

ბენეფიციარებში ცალსახად გაჩნდა მოტივაცია და ახალი საქმის წამოწყების შესაძლებლობის გზები. თვლიან, რომ მიღებულმა ცოდნამ, გამოცდილებამ, პრაქტიკამ, სხვადასხვა ტრენერთან კომუნიკაციამ, ადამიანებთან ურთიერთობებმა და სანაცნობო წრის ზრდამ, მათი ცხოვრება შეცვალა. მნიშვნელოვანია ისიც, აღვნიშნოთ, რომ კმაყოფილი ბენეფიციარები სხვებსაც ურჩევენ და სთავაზობენ საორსას პროექტებში მიიღონ მონაწილეობა. მიღებულ ცოდნას თავადაც აზიარებენ და ცდილობენ სხვა ადამიანების გაძლიერებას. სურთ თავიანთი განცდების თანაზიარი იყოს სხვებიც და დააგროვონ ის გამოცდილებები, რომლებიც მათ აქვთ.

,,სოფლის მეურნეობის კუთხით მინდა რამე გავაკეთო და დავგეგმო. მოტივაცია მომცა „საორსამ.“ სოფლად მცხოვრები ქალი შუახევიდან

,,მე ჩემს გარშემო, ვიწრო წრეში ვატარებ ტრენინგებს გენდერულ თანასწორობაზე. ყოველთვის ვიცოდი, რომ გენდერული თანასწორობა უნდა ყოფილიყო ჩემს სივრცეში, რაც შემიძლია

ყველაფერს ვაკეთებ ჩემს გარშემო. უკვე ჩემი გავლენით, ჩემი ქმარიც ატარებს ტრენინგებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.“ რესპონდენტი ხელვაჩაურიდან

,,მე პროექტი დავწერე, პირველ ეტაპზე გადავედი. ბებოს ლავაშის წარმოება მინდა, რომელიც ქედას და შუახევსაც მოემსახურება. ასე, რომ ცოდნა აუცილებელია პროექტის დაწერისთვის და ვიყენებ განვითარებისთვის. ბევრ ქალს მოვუწოდებ დაწერონ, ერთი ცდა არაფერია, არ გამოგივა კიდევ უნდა სცადო.“ სოფლად მცხოვრები ქალი ხულოდან

,,“საორსა“ იყო მოტივაცია, პირველი ბიზნესგეგმა რომ დავწერე და გამარჯვება მომიტანა. ფრთებშესხმული ვიყავი და იმ დღიდან ვცდილობ ის ბედნიერება, რაც იმ წუთებში მივიღე სხვამაც განიცადოს.“ სოფლად მცხოვრები ქალი ხულოდან

,,საორსაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შემდეგ, პირველად ჩემით დავწერე პროექტი სოფლის განვითარების სააგენტოში. მივიღე დაფინანსება და ახლა ხულოში მაქვს ესთეტიკური ცენტრი. ყველაზე დიდი შენაძენი არის „საორსა“, რომელმაც დიდი ბიძგი მისცა ჩემს განვითარებას.“ სოფლადმცხოვრები ქალი ხულოდან

ბენეფიციართა ბარიერები და რეკომენდაციები

გამოწვევები, რომელსაც ბენეფიციარები ასახელებდნენ იყოდროის ფაქტორი, ტექნიკური ხარვეზები ონლაინ ჩართულობის დროს, ინტერნეტის ხარვეზი, თუმცა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ყველა გამოწვევა აღმოფხვრილა. ასევე, ერთ ბენეფიციარს არ ჰყავდა ბავშვის დამტოვებელი, როდესაც ფიზიკურ სივრცეში ტარდებოდა შეხვედრები, თუმცა როგორც ბენეფიციარმა აღნიშნა, „საორსამ“შესთავაზა ბავშვთან ერთად მისულიყო და შესაბამისი გარემოც შეუქმნა.

ერთ-ერთი ბენეფიციარის თხოვნით და მომართვით ონლაინ ჩართულობის პლატფორმა შეიცვალა, რის შემდეგაც მონაწილემ შეძლო სრულად ჩართვა სასწავლო პროცესში. ერთი-ერთი ბენეფიციარის გამოწვევა მთელი ცხოვრება იყო ახალი ადამიანების გაცნობა და მათთან ურთიერთობა. როდესაც სასტუმროს სივრცეში ოთხდღიანი ტრენინგები მიმდინარეობდა, ბენეფიციარს მოლოდინი ჰქონდა, რომ ნაცნობ ადამიანთან ერთად მოხვდებოდა, თუმცა „საორსას“ მიზანი იყო მონაწილეების ერთმანეთთან გაცნობა და დაახლოვება., შედეგად, მას მოუწია უცხო ადამიანთან ერთად სივრცის გაზიარება. ეს მისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდა, რადგანგადალახა ადამიანებთან კომუნიკაციის დამყარების შიში.

ბენეფიციარებმა ასევე განიხილეს, თუ რა იქნებოდა სასურველი აქტივობა, რომ „საორსამ“ დასაქმებული ქალებისთვის, სოფლადმცხოვრები ქალებისთვის და ახალგაზრდებისთვის განახორციელოს. ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ენობრივი კომპეტენციების ამაღლება, რაც დაეხმარებათ უფრო მეტად კვალიფიციურ სამუშაო ძალად ჩამოყალიბდნენ ასევე, სურთ „საორსას“ კურსდამთავრებულებს ერთად შეკრება და მათი გამოცდილებების გაზიარება. სოფლადმცხოვრები ქალების სურვილია მოკლევადიანი სასწავლო პროგრამები, სადაც შეძლებენ და ისწავლიან კერვას, სალონის ხელსაქმეს, ბიზესიდეების წერას, საბაზისო ინგლისურს.

ასევე, ბენეფიციარებმა აღნიშნეს, რომ მათთვის სასურველია „საორსას“ ოფისების გახსნა მუნიციპალიტეტებში შეხვედრებისა და ტრენინგებისთვის,საჭიროების შესაბამისად.

. ამასთანავე თვლიან, რომ სასურველია მეტი მამაკაცი ჩაერთოს პროექტებსა და ტრენინგებში.

,,შრომის ბაზარზე ბევრ უცხოელთან მიწევდა კომუნიკაცია. შევისწავლე სხვადასხვა ენა და გამიმარტივდა კომუნიკაცია. მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში ენობრივი კომპეტენციების ზრდა.“ ახალგაზრდა ბათუმიდან.

,,ვისურვებდი ყველა კურსდამთავრებული ერთად შევიკრიბოთ და ის ნაამრევი და ნაფიქრი ერთმანეთს გავუზიაროთ, რა ცოდნაც და გამოცდილება შეგვძინა „საორსამ.““ ახალგაზრდა შუახევიდან.

,,როდესაც პირველად მოვედი სასტუმროში (სატრენინგო სივრცეში), უცხო იყო ამდენ ადამიანთან ურთიერთობა. თან ასაკობრივი სხვაობაც იყო. პირველი ჩემი შოკი იყო, რომ სივრცე უცხო ადამიანთან ერთად უნდა გამეზიარებინა. ეს იყო ჩემი პირველი ბარიერის გადალახვა, რომელიც თამართან (შენიშვნა: ტრენინგის მონაწილე) ერთად გავატარე. ადამიანის გაცნობისა და კომუნიკაციის პრობლემა მქონდა და დავძლიე ეს გამოწვევა. ბედნიერი ვარ დღეს. მრავალფეროვანი იყო პროექტი. როდესაც დავბრუნდი სამსახურში, კოლეგებსაც გავუზიარე,= რაც ვისწავლე და დაინტერესდნენ. სამომავლოდ, მათაც სურთ მონაწილეობის მიღება. „საორსას“ თუ სადმე ახსენებენ, მაშინვე მე მიხსენებენ.ყველა დადებითად არის განწყობილი „საორსას“ გუნდის მიმართ“ რესპონდენტი შუახევიდან

,,ბარიერი არ ყოფილა, ზამთრის პერიოდში ლოჯისტიკურად დალაგებული იყო ყველაფერი,. ქედაში ცხმორისის ცენტრში ტარდებოდა ტრენინგები და მარტივი იყო მოსვლა. მორგებული იყო მონაწილეებზე.“ რესპონდენტი ქედიდან

,,ხანდახან მქონდა გამოწვევა, რომ ბავშვის დამტოვებელი არ მყავდა, მაგრამ თქვენი მხრიდან ხელშეწყობა იყო, რომ ბავშვი წამომეყვანა და შესაბამისი გარემო შეგექმნათ.“ რესპონდენტი ბათუმიდან

,,გამოწვევა მქონდა ის, რომ ტექნიკურად „თიმსში“ შემოსვლას ვერ ვახერხებდი და გადაწყვიტეთ ზუმში გადავსულიყავით. მადლობა, რომ გაითვალისწინეთ ჩემი თხოვნა და მომეცით ჩართულობის შესაძლებლობა.“ რესპონდენტი ქობულეთიდან.

,,მე ბევრ ადამიანთან მაქვს ურთიერთობა, ხშირად მქონია ქალებთან საუბარი, რა შეიძლება ისეთი ღირებული რამ გაკეთდეს რაც მოეწონებათ. ყველა ასახელებს, რომ ისწავლონ რაიმე პროფესია. ძალიან კარგი იქნება სოფლებში და თემებში გაკეთდეს სასწავლო პროგრამები, თუნდაც სამთვიანი, ორთვიანი.

მაგალითად, ისწავლონ კერვა, სალონის საქმე, ისწავლონ ბიზნესგეგმის წერა. ასევე, უნდათ საბაზისო დონეზე ისწავლონ ინგლისური ენა. ბავშვებს რომ ელემენტარულად დაეხმარონ სწავლის პროცესში. ხშირად ამბობენ, აქ რომ სალონი იყოს სიამოვნებით ვიმუშავებდითო. მოკლე სასწავლო პროგრამები მათთვის იქნება შესაძლებლობა გაძლიერდნენ და დარჩნენ სოფელში.” რესპოდენტი....?

,,მე ვისურვებდი „საორსას“ პატარ-პატარა ოფისებს, სადაც შევძლებდით ტრენინგების ჩატარებას. დაინტერესდება ყველა ასაკობრივი ჯგუფი და მეტი შესაძლებლობა მიეცემა ადგილობრივებს.” რესპონდენტი ხელვაჩაურიდან,

,,სკოლის ასაკიდან უნდა დავიწყოთ საუბარი ბიჭებთან, მათი ცნობიერება, როცა ყალიბდება. გადამწყვეტია სწორი ჩართულობა და განათლების მიწოდება მათთვის.” რესპონდენტი ხელვაჩაურიდან

,,კიდევ რა იქნება კარგი იცით? ტრენინგებს მამაკაცებიც ესწრებოდნენ, იმიტომ რომ გენდერული თანასწორობა გაიაზრონ და უფრო მეტად გაიგონ რა და როგორ. ჩვენ საკმაოდ შევცვალეთ არასწორი შეხედულებები ჩვენს ირგვლივ კაცებში. ჩემს მეორე ნახევარს არასდროს ჰქონდა მსგავსს ტრენინგებზე დასწრების შესაძლებლობა და „საორსას“ საშუალებით ესწრებოდა ტრენინგებს.” რესპონდენტი ხულოდან.

სერვისის მიმღებთა გაზიარებული ისტორია

,,მინდოდა კარიერა ამეწყო, რაც ახალგაზრდობის წლებში ვერ განვახორციელე. შუა ასაკს გადავცდი და ჩემს ცხოვრებას და კარიერას ახლა ვიწყებ. ეს არის „საორსას“ დამსახურება, რომ მე ეს გზა გავიკვლიე. კარიერული მენტორინგის დახმარებით გავიარე საექთნო მიმართულებით სტაჟირება. ესეც, ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. სულ სამი მიმართულება მსურდა და ორს თითქმის დავეუფლე. არანაირი გამოცდილება, დამადასტურებელი დოკუმენტი არ მქონდა, მაგრამ „საორსას“ კომუნიკაციით ერთ-ერთ კლინიკაში მიმიღეს ოთხთვიან სტაჟრებაზე. შემდეგ ჩავაბარე უნივერსიტეტში. როდესაც ჩავივლიდი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ცრემლები მდიოდა... ყველა სწავლობდა, სტუდენტი იყო და მე ეს ოცნება არ მქონდა ასრულებული, მეც მინდოდა სტუდენტობის ხანა გამომეცადა. დღეს, კი ვარ სტუდენტი ამ უნივერსიტეტში. ყოველ ნაბიჯს, როცა ვდგამ, ვიცი, რომ „საორსა“ არის ჩემი ზურგი და მისი იმედი ყოველთვის მაქვს. თუ კი რაიმე შეხვედრაა, აქტივობა „საორსა“ ყოველთვის გვწერს, გვირეკავს და ყველგან მის სიყვარულს ვგრძნობ. „საორსას“ შემდეგ, ვიტყოდი, ხელახლა დავიბადე. ტელევიზიაში პირველად ვიყავი ლიზასთან („საორსას“ საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი) ერთად, მას შემდეგ სოციალურ ქსელში უფრო მეტი დადებითი კომენტარი და შეტყობინება შემომდიოდა. დღეს უფრო თამამი ვარ და ტელევიზიაში მისვლის შფოთვაც გადავლახე.“ რესპონდენტი ქალი ბათუმიდან.

,,ვაკვირდები, ვინც მოდის „საორსაში“ ბოლომდე რჩება და ამის მიზეზი არის ის, რომ არავის ტოვებს უყურადღებოდ. „საორსას“ გარემოს ქმნის მუდმივი შრომა, რასაც ყველა ვხედავთ. სხვა ორგანიზაციებში ზოგიერთი პროცესი ერთჯერადად ხდება და შემდეგ არც შედეგს კითხულობენ, არც მომავალ პერსპექტივაზე ფიქრობენ. „საორსაში“ კი პროცესებისცოცხალი ჯაჭვი იქმნება. ზოგადად რაღაცებს ვაკეთებთ ადამიანები და შემდეგ ვტოვებთ, თუმცა „საორსა“ ისეთია, თითქოს უძირო ზღვაში გძირავს. „საორსას“ შემდეგ უფრო მეტ ადამიანთან მაქვს კომუნიკაცია. ვფიქრობ, რომ რთულ სიტუაციებში, პირად სივრცესა თუ სამსახურში, მისი სახით მყავს მხარდამჭერი. დილით იმედით ვიღვიძებ. მინდა, რომ სხვა ქალებსაც მიეცეთ „საორსასთან“ ურთიერთობის შესაძლებლობა, სოფლადმცხოვრებ ქალებს განსაკუთრებით სჭირდება განტვირთვა და აკლიათ მსგავსი შესაძლებლობები.“ სოფლადმცხოვრები ქალი ხულოდან

რეკომენდაციები

კვლევიდან გამოიკვეთა ბენეფიციართა პიროვნული, სოციალური კეთილდღეობის ზრდა „საორსას“ პროექტებსა და ტრენინგებში მონაწილეობის შემდეგ. მოთხოვნა დიდია და რეკომენდაცია იქნება ორგანიზაციამ სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებით მოიცვას აჭარის რეგიონში მცხოვრები მეტი ახალგაზრდა გოგონა და ქალი;

ორგანიზაციამ განახორციელოს სოფლად მცხოვრები ქალებისთვის მოკლევადიანი სასწავლო პროგრამები;

ახალგაზრდებისთვის პროექტებში ჩაიდოს ენობრივი კომპეტენციების ზრდის შესაძლებლობები;

ბენეფიციართა საჭიროებებიდან გამომდინარე რელევანტური იქნება ორგანიზაციამ იმუშაოს საკუთარი ბენეფიციარების, განსაკუთრებით მეწარმე ქალების ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესებაზე;

ხაზგასმით აღნიშნეს სოფლად მცხოვრები ქალების ინტერესი ბიზნესს იდეების მიმართ და მნიშვნელოვანი იქნება კვლავ განხორციელდეს მეწარმეობასთან დაკავშირებული პროექტი;

ორგანიზაციამ იმუშაოს სკოლის ასაკის ბიჭებთან და გოგონებთან ცნობიერების ამაღლებაზე და მოიცვას ისეთი საკითხები, როგორებიცაა: გენდერული თანასწორობა, შრომითი უფლებები, პროფესიული ორიენტაცია და ა.შ.

მნიშვნელოვანია პროექტებში გათვალისწინებული იყოს შეხვედრებისთვის სივრცის ქირა;

შეიქმნას მუნიციპალიტეტებში საორსას ოფისები;

ორგანიზაციების სერვისები აქტიურად ჩაიდოს პროექტებში, განსაკუთრებით კარიერული კონსულტაცია და მენტორინგი.